საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.04.2022

საჩივრის რეგისტრაციის 027/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ე. ჯ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. ჯ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 04 აპრილს საჩივრით მომართა ლ. შ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ე. ჯ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 11 მაისს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის10 მაისს, სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართა ადვოკატ ე. ჯ.-ს. შეთანხმების მიხედვით, ე. ჯ.-ს უნდა ეწარმოებინა: 1. საჩივრის ავტორის გარდაცვლილი დედის სამკვიდრო ქონების თანამემკვიდრეებთან გაყოფა; 2. საჩივრის ავტორის დის - ი. ი.-ის მხრიდან სამკვიდრო ქონებით სარგებლობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა; 3. საჩივრის ავტორის კუთვნილი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ----, სამშენებლო/არქიტექტურული დოკუმენტების მომზადება (სამშენებლო ნებართვის მოპოვება) და თანამესაკუთრეებთან ნებართვასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მოგვარება. ლ. შ.-ის განცხადებით, ადვოკატს სრულად გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური - 2000 აშშ დოლარი. საჩივრის ავტორმა 2022 წლის 11 მაისის საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატ ე. ჯ.-მ არ შესთავაზა წერილობითი ხელშეკრულების დადება და არც მას მოუთხოვია ადვოკატისათვის წერილობითი დოკუმენტის შედგენა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ე. ჯ.-ს დამატებით შეუთანხმდა იჯარის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის მიხედვითაც, მან იჯარით გადასცა იურიდიულ პირს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. აღნიშნულ საქმისწარმოებაზე ადვოკატს ჰონორარი არ მოუთხოვია და არც საჩივრის ავტორს გადაუცია მისთვის ფულადი ანაზღაურება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის სექტემბერში, მისმა დამ - ი. ი-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საჩივრის ავტორისათვის თანხის დაკისრება, სამკვიდრო ქონების იჯარით გაცემით მიღებული შემოსავლიდან. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი მოთხოვნის მიუხედავად, ადვოკატი ე. ჯ. თავს არიდებდა სასამართლოსათვის მიმართვას და არწმუნებდა, რომ საქმეს მოლაპარაკების გზით მოაგვარებდა. ლ. შ.-ის განცახდებით, ი. ი-მა სასამართლოს სარჩელით მიმართა საჩივრის ავტორის სამი მოიჯარის წინააღმდეგ, რომელთათვის შესაგებლის მომზადება დაევალა ადვოკატ ე. ჯ.-ს, თუმცა ადვოკატს არც ეს ვალდებულება შეუსრულებია და მას არც ერთი საქმე ბოლომდე არ მიუყვანია. საჩივრის ავტორის განცხადებით, იჯარასთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვიტა სასამართლოსთვის შეგებებული სარჩელით მიმართვა. აღნიშნულ საქმის წარმოებისათვის აიყვანა სხვა ადვოკატი - ი. პ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ადვოკატი ი. პ ჩამოშორდა საქმისწარმოებას, რის შემდეგაც ადვოკატმა ე. ჯ.-მ შესთავაზა, რომ ადვოკატ ი. პ-ის საქმესაც ის გაუძღვებოდა, რაზეც ლ. შ.-მა თანხმობა განაცხადა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ე. ჯ. არასწორ ინფორმაციას აწვდიდა, კერძოდ, ადვოკატმა განუმარტა, რომ სასამართლოს ვერ მიმართა იმ მიზეზით, რომ 2022 წლის პირველი იანვრიდან, 10 იანვრის ჩათვლით სასამართლო არ მუშობდა, თუმცა შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადა იყო 31 დეკემბერი. ადვოკატი არწმუნებდა, რომ შეიტანა შესაგებლები, თუმცა დოკუმენტები დაიკარგა სასამართლოს ყუთიდან, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მხარეებს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებიდან 06 თვის შემდეგ, ადვოკატ ე. ჯ.-ს სთხოვდა მის მიერ შესრულებულ საქმეებზე ანგარიშის წარდგენას, თუმცა ადვოკატი მუდმივად თავს არიდებდა ანგარიშის წარდგენას.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ე. ჯ.-მ არ მიმართა შესაბამის სამსახურს და არ მოითხოვა ქ. თბილისში, -----მდებარე უძრავი ქონების რეაბილიტაცია, თუმცა კლიენტს არწმუნებდა, რომ

განცხადება ჩააგდო ქ. თბილისის განვითარების ფონდის შენობის კანცელარიის ყუთში. კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, ადვოკატს კლიენტისათვის განცხადების ნომერი არ გადაუცია. საჩივრის ავტორის განცხადებით, ე. ჯ.-ს არ მიუმართავს ქ. თბილისის განვითარების ფონდისათვის, რის დამადასტურებლადაც ფონდიდან მიიღო პასუხი, რომ მისი სახელით განცხადება არ დარეგისტრირებულა და ფონდში განცხადების რეგისტრაციის განსხვავებული წესები მოქმედებს.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოგვიანებით, ე. ჯ.-მ ნამდილად მიმართა ქ. თბილისის განვითარების ფონდს განცხადებით, სადაც აღნიშნავდა, რომ მან ერთხელ უკვე მიმართა ფონდს განცხადებით, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნულ განცხადებას ადმინისტრაციული ორგანოდან მოჰყვა სათანადო შედეგი.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, არაერთი მოთხოვნის შემდეგ, ადვოკატმა წარუდგინა შესრულებული სამუშაოს ნუსხა, თუმცა ნუსხაში წარმოდგენილი არ იყო თითოეული მოქმედების ღირებულება. ლ. შ.-ის განცხადებით, ადვოკატი ასრულებდა ისეთ სამუშაოს, რომლის შესრულებაც კლიენტს მისთვის არ დაუვალებია და მისთვის ბუნდოვანი იყო რატომ აკეთებდა ადვოკატი ფაქტის კონსტანტაციებსა და რატომ მიმართა საჯარო რეესტრს შეთანხმებისაგან განსხვავებულ უძრავ ქონებაზე.

1.11 საჩივრის ავტორმა 2022 წლის 11 მაისს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ 2022 წელს ადვოკატს გაუუქმა მინდობილობა და მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ გაიგო, რომ ადვოკატ ე. ჯ.-ს ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაცია.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წელს ე. ჯ. შეუთანხმდა ანტიკვარული ავეჯის შეძენაძე, თუმცა შეთანხმებული საფასურის - 3600 აშშ დოლარის ნაცვლად, საჩივრის ავტორს გადაუხადა 300 აშშ დოლარი და მოგვიანებით უკან დაუბრუნა ავეჯი.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატმა ე. ჯ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2022 წლის 02 მაისს, სადაც განმარტა, რომ ლ. შ.-ის საჩივარი არ ასახავს სინამდვილეს და არ უნდა დაკმაყოფილდეს. 2022 წლის 11 მაისს ადვოკატი ე. ჯ. დაესწრო საპროცესო კოლეგიის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი ახსნა განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2019 წლის აპრილის თვეში საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა ლ. შ.-მა. მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობებზე და მათ შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ზეპირი შეთანხმების მიხედვით, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა სამემკვიდრეო საქმე, ლ. შ.-ის გარდაცვლილი დედის დანაშთ, სამკვიდრო მოწმობით გათვალისწინებულ რამდენიმე მოძრავ და უძრავ ქონებაზე (ს/კ ----; ს/კ -----.; ს/კ ---- და ს/კ ----).

2.3 ადვოკატის განმარტებით, ლ. შ.-მა განუმარტა, რომ მის დას ი.ი-ს მითვისებული ჰქონდა დედის ოქროს სამკაულები, რომლის ღირებულებასაც ის ვერ ასახელებდა. ადვოკატის განცხადებით,

კლიენტის უფლებების დაცვის მიზნით, მიმართა სასამართლოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რის შემდეგაც შედგა ფაქტების კონსტატაციის ოქმი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2019 წლის სექტემბრის თვეში, ის ლ. შ.-თან და მის მეორე მარწმუნებელთან - მ. შ-თან ერთად შეხვდა ი. ი.-სა და მის ადვოკატს - მ. ბ.-ს. მხარეთა შორის შედგა წერილობითი შეთანხმება სამკვიდრო ქონების გაყოფაზე, კერძოდ, მხარეებმა გაიყვეს მოძრავი ქონება და შეთანხმდნენ, რომ უძრავი ქონება გაიყიდებოდა და მიღებული თანხა გაიყოფოდა მემკვიდრეებს შორის.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ერთ-ერთ სამკვიდრო ქონებაზე ს/კ----- რეგისტრირებული იყო მეზობლების თანასაკუთრება და საჭირო გახდა საჯარო რეესტრისთვის მიმართა, სადაც მან, როგორც ლ. შ.-ის წარმომადგენელმა წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია აზომვით ნახაზებთან ერთად. ადვოკატის განმარტებით, მისი ჩართულობის შედეგად აღმოიფხვა სამართლებრივი პრობლემა და ყველა მეზობლის საკუთრებას მიენიჭა დამოუკიდებელი საკადასტრო კოდი.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ლ. შ.-ის მიერ იმის მტკიცება, რომ ის მოქმედებდა კლიენტის ნებისაგან დამოუკიდებლად არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან ის ყველა ქმედების თაობაზე მითითებას იღებდა კლიენტისაგან და მოქმედებდა კლიენტის ნების შესაბამისად და საჩივრის ავტორს პრეტენზია არასდროს გამოუთქვამს მის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ მოქმედებებზე, რაც დასტურდება შესაბამისი მიმოწერით.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიერ წერილობით საჩივარში დასახელებული პრეტენზია, რომ ის არ ასრულებდა შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას და არ ახორციელდებდა სამართლებრივ მოქმედებებს ქ. თბილისში --- N-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არ შეესაბამება სინამდვილეს. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულ ქონებას ჰქონდა ძეგლის სტატუსი და მისი რეაბილიტაცია დაკავშირებული იყო უამრავ სამართლებრივ პროცედურასთან. ადვოკატის განმარტებით, მან სხვადასხვა სამართლებრივი მოქმედებები განახორციელა, მათ შორის მიმართა არქიტექტორ მ. რ.-ს, რომელმაც მიაწოდა მას შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი. ადვოკატ ე. ჯ.-ის განმარტებით, იმის გამო, რომ შენობის რეაბილიტაცია დიდ ფინანსურ ხარჯებს უკავშირდებოდა, კლიენტის გადაწყვეტილებით საქმისწარმოება შეჩერდა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მან ორჯერ მიმართა განცხადებით თბილისის განვითარების ფონდს, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში,-- N--ში მდებარე შენობაში, მეორე სართულზე. პირველად, პანდემიის გამო არ ხდებოდა მოქალაქეების მიღება და დაცვის მითითებით, განცხადება ჩააგდო კართან მდგომ ყუთში. ადვოკატის განმარტებით, ამის შემდეგ დამატებით ორჯერ, ფოსტით გააგზავნა წერილი ქ. თბილისის განვითარების ფონდში,

2.9 ადვოკატის განმარტებით, ის გარემოება, რომ ლ. შ. არ ფლობდა ინფორმაციას ე. ჯ.-ის სპეციალიზაციის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს. ადვოკატის განცხადებით, იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია, ლ. შ.-მა აიყვანა ორი ადვოკატი - ის და ი. პ., რომელსაც ევალებოდა საჩივრის ავტორის წარმომადგენლობა სასამართლოში. ადვოკატებს შორის მოვალეობები განაწილებული იყო და ვინაიდან ის კარგად ერკვეოდა სამშენებლო სამართალში, ამ მიმართულებით აწარმოებდა საქმეს, ხოლო მას შემდეგ, რაც ი. პ.-მა

გაიკეთა ოპერაცია, ის უძღვებოდა ი. პ.-ის საქმეებს, რა დროსაც მუდმივად ჰქონდა კავშირი ადვოკატ ი. პ.-თან. ამასთან, ადვოკატის განცხადებით, ის შეუთანხმდა ლ. შ.-ს, რომ ვინაიდან სპეციალიზაციის გამო ის ვერ შეძლებდა მის წარმომადგენლობას ყველა ინსტანციის სასამართლოში და სასამართლო დავის შემთხვევაში მის ინტერესებს დაიცავდნენ ე. ჯ.-სთან ერთად მომუშავე სხვა ადვოკატები, რაზეც ლ. შ.-მა თანხმობა განაცხადა.

2.10 ადვოკატის განმარტებით, გარდა ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებისა, მან უამრავ სამართლებრივ საქმეზე გაუწია სამართლებრივი მომსახურება ლ. შ.-ს, კერძოდ, 2019 წლიდან, საჩივრის ავტორის ინტერესებს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საბანკო დაწესებულებებში; კლიენტის თხოვნით, ქირავნობის ხელშეკრულებებს აფორმებდა სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ადვოკატის განმარტებით, ლ. შ.-ს აღნიშნული მომსახურების საფასური ადვოკატისათვის არ გადაუხდია. ადვოკატის განმარტებით, კლიენტისაგან მიიღო დავალება, რომ საადვოკატო მომსახურება გაეწია ლ. შ.-ის მოიჯარეებისათვის, რაზეც მან უარი განაცხადა, ვინაიდან აღნიშნული სცდებოდა მისი ვალდებულების ფარგლებს. ამასთან, ადვოკატის განმარტებით ლ. შ.-ს ურჩია, რომ სასამართლოსათვის არ მიემართათ კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნით, ვინაიდან გაუმართლებელი ყადაღისათვის კრედიტორი აგებდა პასუხს.

2.11 ადვოკატის განმარტებით, ის ლ. შ.-ის შვილსაც უწევდა სამართლებრივ დახმარებას, როცა ის დააკავეს ადმინისტრაციული წესით და ადვოკატის ჩართულობის შედეგად სასამართლომ ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ადვოკატის განცხადებით, არც აღნიშნული საადვოკატო მომსახურების საფასური გადაუხდია ლ. შ.-ს.

2.12 ადვოკატის განმარტებით, ის მუდმივად აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმისწარმოებაზე და და აწვდიდა განმარტებას თუ რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა უკეთესი კლიენტის ინტერესებისათვის.

2.13 ადვოკატის განმარტებით, მას ნამდვილად სურდა ანტიკვარული ავეჯის შეძენა, რის თაობაზეც ინფორმაცია მიაწოდა ლ. შ.-ს. ლ. შ.-მა შესთავაზა, რომ ავეჯი მისგან შეეძინა, რაზეც ადვოკატი დათანხმდა. ადვოკატის განცხადებით, აღმოჩნდა, რომ ავეჯი საჭიროებდა დამატებით რესტავრაციას, რომლის ღირებულებაც აღემატებოდა რამდენიმე ათას ლარს, რაც მისთვის მიუღებელ გარემოებას წარმოადგენდა და ლ. შ.-ს შეთავაზა ავეჯის დაბრუნება. ადვოკატის განცხადებით, ავეჯის საფასურიდან 640 ლარი გადასცა ლ. შ.-ის მევალეს. ასევე, 400 დოლარი გადასცა ლ. შ.-ს.

2.14 ადვოკატმა ე. ჯ.-მ 2022 წლის 11 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ჰონორარის სახით ლ. შ.-ისაგან მიიღო 1000 აშშ დოლარი, ხოლო საჩივრის ავტორის მიერ გადახდილი დანარჩენი თანხა წარმოადგენდა დამატებითი ხარჯების საფასურს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი ე. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სიითი №, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი, ბავშვთა უფლებები (სამოქალაქო).

3.2 ლ. შ.-მა ადვოკატთა ეთიკის კომისიას მომართა 2022 წლის 04 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 -2022 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. ჯ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ე. ჯ.-მ სასამართლოს არ მიმართა მოთხოვნით ყადაღა დაედოთ მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის საკუთრებაში არსებული ქონებისათვის და სამოქალქო სამართლის საქმე ისე აწარმოა, რომ მას არ ჰქონდა შესაბამისი სპეციალიზაცია. საპროცესო კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ე. ჯ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევაზე:

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.2 „ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევა იმ მიმართულებით, რომლითაც არ ყოფილა სპეციალიზირებული, არღვევს კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულებას, ვინაიდან ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული“ (ეთიკის კომისიის 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 055/12).

5.3 ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის ეთიკის კომისია შეთანხმდა დისციპლინური წარმოების პროცესში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმების ფარგლებზე და მიიჩნია, რომ მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ დაცულია შემდეგი პირობები:

-ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში;

-ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში;

-ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის;

-ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად.

5.4 „ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე“ (ეთიკის კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 013/22).

5.5 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი მიუთითოს ადვოკატ ე. ჯ.-ს რა ტაქტიკა უნდა აერჩია საქმისწარმოებისას და შეაფასოს მის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, თუმცა ეთიკის კომისია განიხილავს მოქმედებდა თუ არა ადვოკატი სპეციალიზაციის ფარგლებში და მიაწოდა თუ არა მან ინფორმაცია სპეციალიზაციის თაობაზე საჩივრის ავტორს.

5.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ე. ჯ.-მ არ მიაწოდა ინფორმაცია სპეციალიზაციის შესახებ, რასაც სრულად უარყოფს ადვოკატი და განმარტავს, რომ ლ. შ.-ს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებამდე მიაწოდა ინფორმაცია სპეციალიზაციის შესახებ, რის გამოც ლ. შ.-მა დაიქირავა მეორე ადვოკატი - ი. პ. სასამართლოში საქმისწარმოება სწორედ ი. პ-ს ევალებოდა. საჩივრის ავტორს გარდა ახსნა-განმარტებისა, ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ადვოკატის სპეციალიზაციაზე ინფორმაციის მიუწოდებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 11 მაისის სხდომაზე განმარტა, რომ მას შემდეგ რაც ადვოკატი ი. პ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩამოშორდა საქმისწარმოებას, საჩივრის ავტორის თხოვნით ის გაუძღვა ადვოკატ ი. პ-ის საქმეებს. ამასთან, ის კონსულტაციებს გადიოდა ი. პ.-თან და ლ. შ.-ის თანხმობით, მეორე ადვოკატის რჩევების შესაბამისად მოქმედებდა. გარდა ახსნა-განმარტებისა, ადვოკატმა ე. ჯ.-მ საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობები და ადვოკატ ი. პ-სთვის გაგზავნილი ელ. ფოსტის ამონაწერი, რაც ადასტურებს, რომ ადვოკატი ე. ჯ. სამოქალაქო საქმეზე ინფორმაციასა და საქმის დოკუმენტებს აწვდიდა ადვოკატ ი. პ.-ს. 2019 წლის 10 მაისის მინდობილობით ლ. შ.-მა ე. ჯ.-ს, არა როგორც ადვოკატს, არამედ როგორც ფიზიკურ პირს მიანიჭა კონკრეტულ საბანკო დაწესებულებში წარმომადგენლობის უფლებამოსილება, დასახელებული მინდობილობით განსაზღვრული არ ყოფილა სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება. 2019 წლის 22 მაისის

მინდობილობით ლ. შ.-მა ე. ჯ.-ს, არა როგორც ადვოკატს, არამედ როგორც ფიზიკურ პირს, მიანიჭა უფლებამოსილება მარწმუნებლის სახელით ეწარმოებინა ლ. შ.-ის უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეები მინდობილობით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოებში და მარწმუნებლის სახელით ემოქმედა ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. დასახელებულ მინდობილობაში განსაზღვრული არ ყოფილა სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება. ადვოკატ ე. ჯ.-ის მიერ წარმომადგენილი მინდობილობებით დასტურდება, რომ ლ. შ.-მა სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება ე. ჯ.-ს, როგორც ფიზიკურ პირს და არა როგორც ადვოკატს, პირველად 2021 წლის 06 სექტემბერს მიანიჭა, რაც შეესაბამება ადვოკატის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში აღწერილ გარემოებებს, იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ე. ჯ.-მ თავიდანვე მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია სპეციალიზაციის შესახებ და კლიენტის მიერ მისთვის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭება ადვოკატ ი. პ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას მოჰყვა. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმეში წარმოდგენილი მინდობილობების საფუძველზე საპროცესო კოლეგიას არ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა ე. ჯ.-მ ინფორმაცია არ მიაწოდა ლ. შ.-ს სპეციალიზაციის თაობაზე.

5.7 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატი არ ასრულებდა კლიენტის მითითებებს, კერძოდ, არ აწარმოა მისი მოიჯარეების საქმეები სასამართლოში; არ მიმართა განცხადებით ქ. თბილისის განვითარების ფონდს; არ შეიტანა სარჩელი სასამართლოში და კლიენტთან შეთანხმების გარეშე ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს.

5.8 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. ჯ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლი: „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით...“

5.9 „ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება მათ შორის შეთანხმების საფუძველზე და ურთიერთობის გაგრძელებასაც მუდამ თან უნდა სდევდეს ურთიერთშეთანხმება, რაც გულისხმობს საადვოკატო მომსახურების გაწევას კლიენტთან შეთანხმებული ფორმით. ადვოკატმა კლიენტის დაცვის სტრატეგია მასთან უნდა შეათანხმოს და მომსახურების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება კლიენტის თანხმობით უნდა განახორციელოს“ (ეთიკის კომისიის 2020 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე 111/19).

5.10 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ ე. ჯ.-ის მიერ კლიენტის მითითებების საწინააღმდეგოდ მოქმედების ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის - ლ. შ.-ის სამტკიცებელია.

5.11 საპროცესო კოლეგიამ ზედმიწევნით შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და საქმეში წარმოდგენილი მასალები. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ

ადვოკატი ე. ჯ. 2019-2022 წლებში საადვოკატო მომსახურებას უწევდა ლ. შ.-ს, რა დროსაც ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით მიმართა არაერთ ადმინისტრაციულ ორგანოს: საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს; ტექნიკური აღრიცხვის არქივს; აღსრულების ეროვნულ ბიუროს; ქ. თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს; ქ. თბილისის განვითარების ფონდს; მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს; ადვოკატი ე. ჯ. ლ. შ.-ის სახელით ქირავნობის ხელშეკრულებებს აფორმებდა სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან; მიმართა კერძო არქიტექტორს; წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს საბანკო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, დახმარება გაუწია ლ. შ.-ის შვილს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე და ა.შ. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და მოქმედებდა მისთვის მინდობილობებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ადვოკატმა ე. ჯ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა საჩივრის ავტორთან მიმოწერა, სადაც ის ინფორმაციას აწვდის ლ. შ.-ს მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. მიმოწერით დგინდება, რომ ლეილა შალოლაშვილი უთანხმოებას არ გამოთქვამს ადვოკატის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ ღონისძიებებზე. თუ საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ ადვოკატ ე. ჯ.-ს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში არ უნდა ეწარმოებინა რომელიმე სამართლებრივი ღონისძიება, მას ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა მოეთხოვა, რომ ადვოკატს არ განეხორციელებინა სამართლებრივი მოქმედებები, რაც საჩივრის ავტორს არ გაუკეთებია. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ე. ჯ.-მ საადვოკატო მომსახურება არ გაუწია მის მოიჯარეებს და მათი სახელით არ მიმართა სასამართლოს. კომისია განმარტავს, რომ დასახელებულ შემთხვევაში ადვოკატის კლიენტს წარმოადგენდა ლ. შ., შესაბამისად ადვოკატს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია მხოლოდდამხოლოდ ლ. შ.-ისათვის. ადვოკატ ე. ჯ.-ის კლიენტები არ ყოფილან ლ. შ.-ის მოიჯარეები. ადვოკატი, როგორც თავისუფალი პროფესიის პირი, თავად წყვეტს რომელი საქმე აწარმოოს და ვის გაუწიოს საადვოკატო მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს ევალებოდა საადვოკატო მომსახურება გაეწია ლ. შ.-ისათვის და ის არ წარმოადგენდა მოიჯარეების ადვოკატს. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, დასახელებულ ნაწილში არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ე. ჯ.-ის მიმართ.

5.12 საპროცესო კოლეგია ადვოკატ ე. ჯ.-ის საყურადღებოდ, რეკომენდაციის სახით განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ადვოკატებს ანიჭებთ შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებების მიხედვით, წერილობით ან ზეპირად დადონ კლიენტებთან ხელშეკრულება, კლიენტთან ურთიერთობა მოაწესრიგოს წერილობითი ფორმით, სადაც დაზუსტებით იქნება გაწერილი ხელშეკრულების არსებითი პირობები, კერძოდ, ხელშეკრულების საგანი, ჰონორარის ოდენობა, ხარჯები და საადვოკატო მომსახურების ფარგლები, რასაც პრევენციული ხასიათი აქვს მომავალში კლიენტის პრეტენზიებისგან თავის დასაცავად. თავის მხრივ, კლიენტთან წერილობითი ხელშეკრულების გაუფორმებლობა საკმარისი არ არის დისციპლინური დევნის აღძვრისთვის, თუმცა ადვოკატისა და კლიენტის ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ, კომისიას შეექმნა ვარაუდი, რომ კლიენტთან ურთიერთობაში შესაძლოა არსებობდა გარკვეული პრობლემები, რაც პროფესიულ ურთიერთობებში ადვოკატების მხრიდან დამატებით მუშაობას და გულისხმიერებას მოითხოვს.

5.13 საპროცესო კოლეგიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ლ. შ. ითხოვს ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარის ნახევარი - 1000 აშშ დოლარის დაბრუნებას და იმსჯელა შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი."

5.14 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე 054/18).

5.15 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ჰონორარის - 2000 აშშ დოლარისა და დამატებითი ხარჯების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ჰონორარს გადახდილად მიიჩნევს. ადვოკატმა ე. ჯ.-მ 2021 წლის 02 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მასსა და საჩივრის ავტორს შორის არსებული მიმოწერა, სადაც იკვეთება, რომ მან ლეილა შლოლაშვილს წარუდგინა მის მიერ გაწეული მომსახურების ჩამონათვალი. ამასთან, მიმოწერით დგინდება, რომ ადვოკატმა ე. ჯ.-მ საჩივრის ავტორს წარუდგინა ფინანსური ინფორმაცია მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების შესახებ. საპროცესო კოლეგია მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა ე. ჯ. კლიენტის ინტერესებს 03 წლის განმავლობაში, სასამართლოში; არაერთ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენდა და განმარტავს, რომ ის ჰონორარს გამომუშავებულად მიიჩნევს. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისია განიხილავს დავას მხოლოდამხოლოდ ადვოკატის ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის

შესახებ, ის არ წარმოადგენოს სასამართლოს და არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი დავა. თუ საჩივრის ავტორი არ ეთანხმება ადვოკატის მიერ დატოვებული გასამრჯელოს ოდენობას, ის უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით და აწარმოოს სამოქალაქო სამართლებრივი დავა ადვოკატის წინააღმდეგ.

5.16 ეთიკის კომისიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ე. ჯ.-მ საჩივრის ავტორისაგან 3600 აშშ დოლარად შეიძინა ანტიკვარული ავეჯი, თუმცა მას საჩივრის ავტორისათვის ავეჯის ღირებულების თანხა ბოლომდე არ გადაუხდია და გარკვეული პერიოდის შემდეგ, ავეჯი უკან დაუბრუნა ლ. შ.-ს, მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორი აღნიშნულის წინააღმდეგი იყო და მას ნივთები ადვოკატისათვის დროებით სარგებლობაში არ გადაუცია. მხარეები სადაოდ არ ხდიან, რომ მათ შორის დაიწყო სამაქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რაც დაკავშირებული არ ყოფილა იმ საქმეების წარმოებასთან, რომლებზე წარმომადგენლობასაც ადვოკატი ე. ჯ. უწევდა კლიენტს - ლ. შ.-ს. მოცემულ შემთხვევაში კლიენტთან ნასყიდობის ხელკრულების გაფორმებას საფრთხე არ შეუქმნია ადვოკატის დამოუკიდებლობისათვის და ხელს არ უშლიდა ადვოკატს საკუთარი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაში. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მართალია, ასეთ შემთხვევაში კანონი არ უკრძალავს ადვოკატს სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება გააფორმოს კლიენტთან, თუმცა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ბუნების გათვალისწინებით, რეკომენდებული არ არის ადვოკატი კლიენტთან ურთიერთობისას გასცდეს შესაბამის სამართლებრივ ჩარჩოს. საპროცესო კოლეგია ასევე განმარტავს, რომ მხარეებს შორის წამოჭრილი დავის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის შეფასება სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს და წარმოადგენს სასამართლოს განსჯადობას დაქვემდებარებულ საკითხს.

5.17 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №027/22 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ე. ჯ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

   გადაწყვეტილებას თან ერთვის საპროცესო კოლეგიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის განსხვავებული აზრი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/

განსხვავებული აზრი ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილებაზე დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

საქმეზე N027/22

გამოვხატავ ღრმა პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომლებიც შედიან მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობაში და რომელთა მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება #027/22 საქმეზე, ადვოკატ ე. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე და ვაფიქსირებ განსხვავებულ აზრს, რომელიც მიემართება ადვოკატ ე. ჯ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ“) 8.5; 8.6 და 8.15 მუხლებით გათვალისწინებული პროფესიული სტანდარტების დაცვას და მიმაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

1. პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ვერ დავეთანხმები კოლეგების პოზიციას, იმის თაობაზე რომ არ არსებობს „აპეკ“-ის 8.5 და 8.6 მუხლების შესაძლო დარღვევაზე დევნის აღძვრის შესაძლებლობა. ადვოკატის მიერ კვალიფიციური მომსახურებისა და კლიენტის ინფორმირების თაობაზე ეთიკის კომისიას აქვს ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც „ადვოკატს, ადვოკატის სტატუსი ავალდებულებს საადვოკატო მომსახურება სწორედ იმ სფეროში გაწიოს, რომლის სპეციალიზაცია (კვალიფიკაცია) მას გააჩნია. ადვოკატი ვალდებულია კონსულტაციის ეტაპის დაწყებამდე განუმარტოს პოტენციურ კლიენტს რომელი სპეციალიზაციით შეუძლია (ადვოკატის სტატუსით) განახორციელოს წარმომადგენლობა. ადვოკატის მიერ არასპეციალიზებული მიმართულებით იურიდიული მომსახურების გაწევა ვერ ჩაითვლება კვალიფიციურად“ (2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N100/17). იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის წარმომადგენლობას ადვოკატი ახორციელებს იმ დარგში, სადაც მას სპეციალიზაცია არ გააჩნია, ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას ზემდგომ ინსტანციებში საქმის განხილვისას, რაც წარმოადგენს კლიენტის ინტერესების სათანადოდ დაცვის რისკს. საადვოკატო მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ ერთობლივად დაცულია შემდეგი პირობები: ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში; ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში; ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული

სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის; ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად. საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია მიემართება ადვოკატ ე. ჯ.-ის მიერ, სპეციალიზაციაზე კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტს.

2. ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი და ადვოკატის ერთ–ერთი ძირითადი ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ზუსტი და სწორი ინფორმაცია, რაც მჭიდროდ უკავშირდება კლიენტისათვის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის სტანდარტს. 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე 049/12, ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

3. კლიენტი ადვოკატს უკავშირდება და ჰონორარს იხდის მისი პროფესიული ნიშნით. ადვოკატ ელიზავეტა

4. ჯ-ს აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, თუმცა ლ. შ.-ს საადვოკატო მომსახურებას უწევდა სამოქალაქო სამართლის საქმეზე. კლიენტმა შეიძლება არც იცოდეს, რომ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატებს გამოსვლა შეუძლიათ მხოლოდ სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე. თუ ადვოკატი განუცხადებს, რომ მას არ აქვს სპეციალიზაცია სამოქალაქო საქმისწარმოებაში, კლიენტის გადასაწყვეტია მიუხედავად ამისა, აიყვანოს თუ არა ადვოკატი წამომადგენლად. სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში მოქმედი მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის გათვალისწინებით, კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელმაც ეთიკის კომისიაში უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულება, (წერილობითი შეთანხმების, ხელწერილის, ხელშეკრულების, კლიენტთან მიმოწერის და ა.შ სახით) რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებს ეთიკის კომისიას ადვოკატის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში. შესაბამისად, დასახელებულ შემთხვევაში სწორედ ადვოკატ ე. ჯ.-ს ეკისრებოდა ვალდებულება ეთიკის კომისიისათვის წარმოედგინა ისეთი მტკიცებულებები, რაც ეთიკის კომისიას შეუქმნიდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად და მას სამოქალაქო საქმის წარმოებაზე კლიენტისაგან მიღებული ჰქონდა ინფორმირებული თანხმობა.

5. ეთიკის კომისიამ 2022 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილებაში, საქმეზე 093/20 განმარტა, რომ „სამართლებრივი შედეგი პირდაპირაა დამოკიდებული მხარის მიერ მტკიცების ტვირთის განხორციელებაზე. შესაბამისად, მხარე, რაც უფრო მყარ და სანდო მტკიცებულებებს წარუგენს სასამართლოს, მით უფრო მეტად გაამყარებს საკუთარ პოზიციებს, რაც აისახება საბოლოო შედეგზე.“ ადვოკატ ე. ჯ.-ს გარდა ახსნა-განმარტებისა, ეთიკის კომისიაში სხვა, მტკიცებულებითი ძალის მქონე დოკუმენტი არ წარმოუდგენია, რაც არ არის საკმარისი

იმისათვის, რომ ეთიკის კომისიას შეექმნას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, ადვოკატ ე. ჯ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 და 8.5 მუხლებით დადგენილი კლიენტის ინფორმირებისა და კვალიფიციური მომსახურების სტანდარტების დაცვაზე.

6. ასევე ვერ დავეთანხმები კომისიის დასკვნას, რომ არ არსებობს 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევის საფუძველით დევნის აღძვრის წინაპირობა. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის საფუძველზე კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას „კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

7. ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N037/14 განმარტა, რომ „..ადვოკატმა უნდა გამოქვითოს მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისთვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო ჰონორარიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს.“

8. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/7-16, 21.11.2016 აღნიშნა, რომ „..... პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა.“

9. აპეკ-ის 8.15 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების შესაფასებლად უნდა დადგინდეს, რა მოცულობის სამუშაოს გაწევაზე იყვნენ შეთანხმებული მხარეები, საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას რა მოცულობის სამუშაოს გაწევა მოხდა და ანაზღაურების გადახდის რა წესზე იყვნენ შეთანხმებული მხარეები, ასევე დადგინდეს, ვის აქვს ზემოაღნიშნულის მტკიცების ტვირთი.

10. მტკიცების ტვირთის სწორ განაწილებასთან დაკავშირებით დასადგენია, თუ ვინ უნდა ამტკიცოს, თუ რას წარმოადგენს გაწეული მომსახურების მოცულობის ექვივალენტურ ანაზღაურებას. ეთიკის კომისიას აქვს ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის თანხმად მტკიცების ტვირთი კლიენტისგან მინდობილ სახსრების ხარჯვაზე ზუსტი ხარჯთაღრიცხვის წარდგენაზე აქვს ადვოკატს.

11. შესაბამისად, ადვოკატის სამტკიცებელია კლიენტის მიერ გადახდილი თანხიდან უკვე გაწეული მომსახურებისთვის ანაზღაურების ოდენობის შესაბამისობა და სავარაუდობა. სიცხადისათვის და განსხვავებული შეფასების რისკის თავიდან აცილებისთვის, ფიქსირებული ანაზღაურებაზე შეთანხმებისას, ადვოკატს შეუძლია განსაზღვროს ანაზღაურების წილი თითოეული განსაზღვრადი ეტაპისთვის. ამასთან, რაც უფრო მცირე ეტაპები იქნება, მით უფრო ნაკლები იქნება დავის საფუძველი და სავარაუდოობის სხვაგვარი შეფასების რისკი. თუმცა, ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში აღნიშნულის მტკიცება განსაკუთრებით რთულია.

12. ადვოკატმა ე. ჯ.-მ ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ მას ლ. შ.-საგან ჰონორარი სრულად არ ჰქონდა მიღებული, რის საპირისპიროდაც, საჩივრის

ავტორმა წარმოადგინა ჰონორარის სრულად გადახდისა და საპროცესო ხარჯების ანაზღაურების დამადასტურებელი გადახდის ქვითრები. საყურადღებოა ისიც, რომ ადვოკატ ე. ჯ.-ს კლიენტთან წერილობით არ გაუფორმებია ხელშეკრულება, სადაც გაწერილი იქნებოდა ხელშეკრულების არსებითი პირობები, მათ შორის ჰონორარის ოდენობა, ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლები და ადვოკატის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა. ეთიკის კომისიაში წარმოადგენილი მინდობილობით კი დგინდება, რომ ადვოკატ ე. ჯ.-ს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება კლიენტის - ლ. შ.-ის ინტერესები წარმოედგინა ყველა ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის სამოქალაქო საქმეებზე. საჩივრის ავტორმა როგორც წერილობით საჩივარში, ისე საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატი სწორედ სასამართლოში სამოქალაქო საქმისწარმოებისათვის დაიქირავა, თუმცა ადვოკატს სასამართლოსათვის არ მიუმართავს. ადვოკატმა ე. ჯ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ მას სასამართლოში სამოქალაქო საქმე არ უწარმოებია. მხარეთა ახსნა-განმარტები და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მხარეებს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა ადვოკატის მიერ ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, რაც ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი.

13. შესაბამისად, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 31-ე მუხლის შეესაბამისად, ეთიკის კომისიის მითითებული პრაქტიკის საფუძველზე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, წინამდებარე განსხვავებული აზრით კიდევ ერთხელ გამოვხატავ პატივისცემას კოლეგების დასკვნის მიმართ, თუმცა ვთვლი, რომ არსებობს ადვოკატ ე. ჯ.-ის მიერ აპეკ -ის 8.5, 8.6 და 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევის გამო დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

ბესარიონ ბოხაშვილი

ეთიკის კომისიის წევრი